დონეცკი. “შახტიორის” სტადიონი. 17 მაისი.

“შახტიორი” (დონეცკი) - “დინამო” (თბილისი - 2:1 (1:0).

“დინამო”: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, ბარქაია, მესხი (აფშევი).

“შახტიორი”: კოროტკიხი, გოლოვკო, სალკოვი, სნეგირიოვი, ალიაბიევი, მიზერნი, სოროკინი, კორშუნოვი (ჟუკოვი), ანანჩენკო, კაზაკოვი, ხმელნიცკი.

მსაჯი: კ. დემჩენკო (მოსკოვი).

თბილისის “დინამოს” მეტოქეებმა უკვე კარგად იციან, რომ ეს პირველხარისხოვანი გუნდი ცუდად ატარებს გასვლით მატჩებს. ამიტომ “შახტიორმა”, რომელიც წელს განსაკუთრებული სიძლიერით თამაშობს, პირველივე წუთებიდან გაშალა სწრაფი, ენერგიული შეტევა. ამ დროს განსაკუთრებული დამაჯერებლობით და აქტივობით თამაში მართებდა ლეჟავას, მაგრამ პირიქით მოხდა. თბილისელთა მეკარე ცუდად ურთიერთმოქმედებდა პარტნიორებთან, უდროოდ გამოდიოდა წინ და ხელიდან უშვებდა იოლ ბურთებს. მისი ასეთი ნერვიულობა მალე გადაედო მცველებსაც და “დინამოს” საჯარიმო მოედანზე ხშირად იქმნებოდა არევდარევა და სახიფათო სიტუაციები, რომელთა ავტორები იმდენად “შახტიორის” ფორვარდები არ იყვნენ, რამდენადაც “დინამოს” მცველები. ყოველივე ამის გამო ღრმა ზურგში დახევა დაჭირდათ თბილისელთა თავდამსხმელებსაც.

მე-12 წუთზე კორშუნოვმა მიიღო ანანჩენკოს გადაცემა, წინ გაიყვანა ხმელნიცკი და მან ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

ამის შემდეგ დაიწყო დინამოელთა ხანგრძლივი იერიშები. 35-ე წუთზე ბარქაიას მიერ დარტყმული ბურთის აღება ვერ შეძლო კოროტკიხმა და სალკოვმა თავისი კარი უეჭველ გოლს გადაარჩინა. 55-ე წუთზე იამანიძემ ძელს მოახვედრა ბურთი. სამაგიეროდ 63-ე წუთზე ანანჩენკომ დრიბლინგით აუარა გვერდი პეტრიაშვილს და ლეჟავას და მეორე ბურთი გაიტანა.

ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა შეძლო აფშევმა 81-ე წუთზე, რომელმაც მეორე ტაიმში შეცვალა მესხი.

პირველი მარცხი განიცადა თბილისის დუბლიორთა გუნდმა - 2:3.

ა. პლეშევოი. დონეცკი (ტელეფონით).

“ლელო”, 19 მაისი, 1964 წ.